

სააქციო საზოგადოება

„თამ“ (თბილავიამშენი)



სადივიდენდო პოლიტიკა

2006-2008 წ.

დამტკიცებულია ს/ს „თამ“-ის აქციონერთა კრების მიერ

თბილისი

10 მაისი 2006 წელი

1. საერთო მდგომარეობა

- 1.1. სააქციო საზოგადოებაში სადივიდენდო პოლიტიკა მიმართულია:
 - გრძელვადიან პერსპექტივაში საზოგადოების განვითარების უზრუნველყოფაზე;
 - საზოგადოების საინვესტიციო მომხიბვლელობის ამაღლებაზე;
 - დივიდენდების გაცემის გზით აქციონერების მიმდინარე კეთილდღეობის ამაღლებაზე;
 - საზოგადოების კაპიტალიზაციის ზრდის ხარჯზე აქციონერების კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფაზე.
- 1.2. სადივიდენდო პოლიტიკის რეალიზაციის დროს საზოგადოება იძლევა გარანტიას აქციონერთა იმ უფლებების დაცვაზე, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით და საზოგადოების სხვა შიგნით დოკუმენტებით.
- 1.3. სადივიდენდო პოლიტიკას შეიმუშავენ სამეთვალყურეო საბჭო და ძალაში შედის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. სადივიდენდო პოლიტიკის შეცვლა მისი მოქმედების დროის დასრულებამდე შესაძლებელია მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.
- 1.4. წინამდებარე სადივიდენდო პოლიტიკის მოქმედების ვადა ვრცელდება 2006-2008 წლების პერიოდზე.

2. სადივიდენდო პოლიტიკის პრინციპები

- 2.1. დივიდენდების გაცემისა და ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება წელიწადში ერთხელ სამეურნეო წლის ფინანსური შედეგების გათვალისწინებით აქციონერთა მორიგ კრებაზე.
- 2.2. დივიდენდები გაიცემა მხოლოდ ფულადი სახით.
- 2.3. დივიდენდების თანხის ოდენობის განსაზღვრისას საზოგადოება ითვალისწინებს საზოგადოების მოთხოვნებს, მოქმედი კანონმდებლობის შედეგად შექმნილ სარეზერვო და სხვა სავალდებულო ფონდებზე გარარიცხვის ვალდებულებებს, საზოგადოების წესდებას, აქციონერთა ინტერესებს, და განსაზღვრავს სუფთა მოგების ოპტიმალურ განაწილებას აქციონერებსა და საზოგადოებას შორის.
- 2.4. თანხის ოდენობა, რომელიც მიმართულია დივიდენდების გაცემაზე შეადგენს საზოგადოების სუფთა მოგების არა უმეტეს 30% (ოცდაათ პროცენტს). საზოგადოების სუფთა მოგება შესაბამისი საანგარიშო

პერიოდისათვის განისაზღვრება საზოგადოების ფინანსური ანგარიშის საფუძველზე, რომელიც შედგენილია ფინანსური ანგარიშის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

- 2.5. საზოგადოება მიისწრაფის არ შეამციროს ერთ აქციაზე დარიცხული დივიდენდის ოდენობა ყოველ წინა წელთან შედარებით.

3. დივიდენდების გაცემის პირობები:

- 3.1. სუფთა მოგების არსებობა, შესაბამისი საანგარიშო პერიოდისათვის საზოგადოების ფინანსური ანგარიშის საფუძველზე, რომელიც შედგენილია ფინანსური ანგარიშის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
- 3.2. სუფთა მოგების არსებობა, რომელიც გამოანგარიშებულია შესაბამისი საანგარიშო პერიოდისათვის საზოგადოების ბუღალტერული ანგარიშის საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 3.3. 2.4 მუხლით განსაზღვრული გასაცემი დივიდენდების თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საზოგადოების სუფთა მოგებას, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც მიმართულია მოქმედი კანონმდებლობისა და საზოგადოების წესდების შესაბამისად საზოგადოების მიერ შექმნილი ფონდების ფორმირებისათვის.
- 3.4. დივიდენდების თანხის ოდენობის შესახებ სააქციო საზოგადოების დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოების რეკომენდაციების არსებობა.
- 3.5. დივიდენდების გაცემის შესახებ სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილება.
- 3.6. დივიდენდების გაცემის შეზღუდვის არარსებობა, რომელიც გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით.

4. დივიდენდების გაცემის წესი და სადივიდენდო პოლიტიკის რეალიზაციის კონტროლი

- 4.1 აქციონერებზე დივიდენდები გაიცემა ვადის დაცვით, რომელიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და საზოგადოების წესდების გათვალისწინებით.

4.2 სადივიდენდო პოლიტიკის რეალიზაციის კონტროლი ხორციელდება საზოგადოების აქციონერებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოქმედი კანონმდებლობის და საზოგადოების წესდების შესაბამისად.